№336 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609) უსასყიდლო აღნაგობის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, გადასცეს ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფელ არალში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთები: 300 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.13.31.224) და 3767 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.13.31.229).

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) წლის ვადით, გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ადიგენის

მუნიციპალიტეტში, სოფელ არალში მდებარე 1771 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №61.13.31.223).

3. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული უძრავი ნივთების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობებად განისაზღვროს:

ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღნაგობის საგნის გაზსადენის მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გამოყენება;

ბ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უზუფრუქტის საგნის გაზსადენის მშენებლობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენება;

გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციასა და „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას“ შორის 2015 წლის 18 დეკემბერს (ცვლილება შეტანილია 2016 წლის 02 თებერვალს) გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**